ი. ჯავახიშვილისა და ვ. ჯანაშვილის მიმოწერა

ჩვენს არქივებსა და განძთსაცავებში ინახება ჯერ კიდევ უცნობი მრავალი დოკუმენტი თუ პირადი წერილი, რომლებიც შექმნა მფლენენ წარსულის ამა თუ იმ კუთხეს, ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ურთიერთობას; ამჯერად ჩვენ გვინდა გავაცნოთ მკითხველს დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ოთხი პატარა ბარათი, რომლებიც მას ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილისათვის მიუწერია. ეს ბარათები ნათელს მფენენ ამ ორი მოღვაწის უანგარო მეგობრულ ურთიერთობას, ხოლო მეოთხე ბარათი, ამასთან, საყურადღებო მოსაზრებებსაც შეიცავს ქართული კულტურის წარსულზე.

აი ეს ბარათებიც.

* * *

ბატონო მოსე!

თქვენი გრამატიკა თვენახევარია, რაც მივიღე. დიდად გმადლობთ და ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდისინ ვერ მოვიცალე წერილით გადამეხადა მადლობა.

ივ. ჯავახიშვილი[1]

* * *

ტფილისი
1914. 23 დეკემბერი

პატივცემულო
ბატონო მოსე გიორგის ძევ!

დიდად გმადლობთ წერილისათვის. დღესა და ხვალ მეც საქმეები მაქვს და ამის გამო მუზეუმში მუშაობა არ შემიძლიან. თუ მშვიდობიანობა იქნება და მუზეუმის ახლავე გადატანა საჭირო არ იქნა, მაშინ მე შეგაწუხებთ და წინდაწინვე წერილით გაცნობებთ.

ივ. ჯავახიშვილი[2]

[1] იხ. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის დოკუმენტი № 21894.

[2] იქვე, დოკუმენტი № 21895.

* * *

ტფილისი
1928. 18. VII

ღრმად პატივცემულო
ბ-ნო მოსე!

ამასთანავე გაგზავნით თქვენ ფრიად საგულისხმო ნაშრომს „ზეთა", რომელიც გადავსინჯე და რომელშიაც საყურადღებო პრობლემებია წამოყენებული. სამწუხაროდ, ევროპის 1914—1928 წ.წ. ამ საკითხის შესახებ მრავალად გამოსულ გამოკვლევათა ტფილისში უქონლობა საშუალებას არ მაძლევს, გამომერკვია, როგორ არის ეს პრობლემები იქ განხილულ-გადაწყვეტილი.

თქვენი მარად
პატივისმცემელი

ივ. ჯავახიშვილი[3]

* * *

ტფილისი
1929 6. X

ღრმად პატივცემულო
ბ-ნო მოსე!

დიდი ინტერესით გადავიკითხე თქვენი მონოგრაფია „პოეტთა აკადემია და შოთა რუსთაველი". საგულისხმო საკითხია. ორიოდე შენიშვნა მაქვს მხოლოდ მოსახსენებელი. აღსართანი კახთა და რანთა მეფე და ახისტანი შირვანის მეფე, ვგონებ, სხვადასხვა სამეფოს საგვარეულოების წარმომადგენელნი უნდა იყვნენ. საადის შესახებ გვ. 12-ზე ნათქვამია, რომ 1121 წელს გარდაიცვალაო. საადი 1184 წელს დაიბადა, ხოლო გარდაიცვალა 107 წლისა 1291 წელს (H. Ethe. Neupersische Literatur. 292). ისე, რომ მისი მოღვაწეობა მოწყლილია ბატონობის ხანას ეკუთვნის. თქვენი აზრი შოთა რუსთაველის კავშირის შესახებ შირვანელ მგოსნებთან საინტერესოა, მაგრამ რამდენად დასაჯერებელია, რომ ამ დროს პატარა შირვანს მგოსანთა „აკადემია" ჰქონდა, დიდ საქართველოს კი — არა, ისე რომ ქართველი მგოსნები განჯის აკადემიის წევრებად უნდა გამხდარიყვნენ. მას შემდგომ, რაც დავით აღმაშენებელმა კარის მგოსნებს, რუფინოს და სხვა უხვი მფარველობა გაუწია, საეჭვოებელია, რომ ასეთი დაწესებულება ქართველ მგოსანთათვისაც უნდა ეოფილიყო საქართველოს დედაქალაქში. სხვაფრივ თქვენი წერილი საინტერესოა და კარგი იქნება თუ დაბეჭდავთ. თქვენი პატივისმცემელი

ივ. ჯავახიშვილი[4]

როგორც ჩანს, მოსე ჯანაშვილს თავისი მონოგრაფია ივ. ჯავახიშვილისათვის ხელნაწერის სახით გაუგზავნია. ვ. ჯანაშვილმა შემდგომში დაბეჭდა თავისი ეს შრომა, მაგრამ არა სტამბური, არამედ ლითოგრაფიული წესით (საქართველოს სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა, ტირაჟი — 200 ცალი).

ლაშარა ხელაძე
სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის
თანამშრომელი

[3] იქვე, დოკუმენტი № 21896

[4] იქვე, დოკუმენტი, № 21897.